



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
(პროგრამული კოდი: 18 01)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების
შესახებ

სარჩევი

1 . პირობითი მოსაზრების საფუძვლები	3
1.1 ძირითადი აქტივები.....	3
1.2 მატერიალური მარაგები	6
1.3 ავტომატური ექსპლუატაციის ხარჯები.....	7
1.4 შენობა-ნაგებობების გამოყენება.....	7
2. სხვა გარემოებები	9
2.1 არაფინანსური აქტივების აღრიცხვა	9
2.2 უძრავი ქონების მართვა.....	10
2.3 არამატერიალური ძირითადი აქტივები.....	13
2.4 რეინვესტირებული თანხები.....	14
2.5 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	15
2.6 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა.....	15

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატისა და პროგრამების (შემდგომში - სამინისტრო) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

ა) სახანძრო სიგნალიზაცია/კაპიტალიზირებული ხარჯი

სამინისტრომ 2017 წელს განახორციელა სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 4,663.36 ლარი. სამინისტროს მიერ მოხდა გაწეული ხარჯის კაპიტალიზაცია, აღნიშნული ფართის ისტორიული ღირებულების გაზრდა 669,680.00 ლარამდე და 2017 წლისათვის აქტივის ცვეთის გაანგარიშების ბაზად გამოყენებულ იქნა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ღირებულება. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2112) არასაცხოვრებელი შენობები“ აღნიშნული აქტივი აღრიცხულია 664,882.68 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. საკუთარი კაპიტალის მოხმარებამ შეადგინა 6,996.80 ლარი. მოქმედი კანონმდებლობით¹, ხარჯი, რომელიც არ იწვევს შენობა-ნაგებობის არსებით გაუმჯობესებას, ასევე არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობის განახლებას, რეკონსტრუქციას, ან გაფართოებას, რომელიც აუმჯობესებს აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, ზრდის მოცულობას და მწარმოებლურობას, ან მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას, არ წარმოადგენს კაპიტალიზებად ხარჯს. შესაბამისად, სახანძრო სიგნალიზაციის დანახარჯი არ განეკუთვნება კაპიტალიზებად ხარჯს, რის გამოც ის უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივად ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ და ცვეთის დარიცხვა უნდა განხორციელებულიყო არსებული კანონმდებლობის შესაბამისად². ზემოაღნიშნულის გამო, საფინანსო სამმართველოს არაკვალიფიციური მიდგომის შედეგად, წლის ბოლოსათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ №5-ში „(2112) არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშის ღირებულება არასწორად იქნა გაზრდილი 4,663.36 ლარით, იმავედროულად, „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ანგარიშის ღირებულება არასწორად შემცირდა 4,197.02 ლარით³. ჯამში, აქტივების ნეტო ღირებულება არასწორად გაიზარდა 419.70 ლარით, საკუთარი კაპიტალის

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები და მე 16-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის №1 დანართი, შიფრი №4167 „სახანძრო სიგნალიზაცია“ ცვეთის წლიური ნორმა 10%.

³ $4663.36 - (4663.36 * 10\%) = 4197.024$.

მოხმარება ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, №3-სა და №5-ში შემცირდა, ხოლო წმინდა ღირებულება ბალანსის ფორმა №3-ში არასწორად იქნა გაზრდილი 419.70 ლარით.

ბ) არამატერიალური ძირითადი აქტივები

ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2132) არამატერიალური ძირითადი აქტივები“, ასახულია 1,800.00 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების (საწყისი ისტორიული ღირებულება - 12,000.00 ლარი) მქონე ხაზინის პროგრამა, რომელსაც აუდირებულ წელს დაერიცხა ცვეთა 1,200.00 ლარის ოდენობით. მოწოდებული ინფორმაციით და შესაბამისი აუდიტორული პროცედურებით⁴ დადასტურდა, რომ აღნიშნული პროგრამა არ ფუნქციონირებს და დაარქივებულია სამინისტროს სერვერზე. ვინაიდან სამინისტროს აღნიშნული პროგრამა წლებია არ გამოუყენებია და არც მომავალში მოელის მისგან ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁵, ის არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური ძირითადი აქტივების“ ანგარიში წლის ბოლოს არასწორადაა გაზრდილი 1,800.00 ლარით, ასევე საკუთარი კაპიტალის მოხმარება ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, №3-სა და №5-ში არასწორადაა გაზრდილი 1200 ლარით და შესაბამისად, საანგარიშო წლის „წმინდა ღირებულება“ ბალანსის ფორმა №3-ში არასწორადაა შემცირებული 1,200.00 ლარით. ამრიგად, სამინისტროში ხაზინის პროგრამის გამოუყენებლობითა და საფინანსო სამმართველოს არაკომპეტენტური მიდგომით, აღნიშნული პროგრამის აქტივად აღიარებამ გამოიწვია ის, რომ ჯამში, არსებული უზუსტობები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური ძირითადი აქტივების სწორად ასახვაზე და არ იძლევა პოტენციური მომხმარებლებისათვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

გ) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება

ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, აღრიცხულია 5 ერთეული 998.91 ლარის ნარჩენი ღირებულების (საწყისი ისტორიული ღირებულება - 7,938.85 ლარი) მქონე ისეთი ძირითადი აქტივი, რომელიც 2017 წელს სამინისტროს გადმოეცა შემდგომი განკარგვის მიზნით და აუდირებულ წელს მას დაერიცხა ცვეთის თანხა - 706.82 ლარის ოდენობით. მოქმედი კანონმდებლობით⁶, განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება წარმოადგენს შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადასაცემ ქონებას, რომლის აღრიცხვაც ხდება ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში - „(11) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“. შესაბამისად, ზემოაღნიშნული აქტივებიც სამინისტროს

⁴ ადგილზე დათვალიერების აქტი.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-40 მუხლის მე-12 პუნქტი.

მიერ უნდა აღრიცხულიყო ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში - „(11) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“ და მათზე ცვეთის თანხის დარიცხვა არ უნდა განხორციელებულიყო. ანალოგიურად, 2017 წელს შემდგომი განკარგვის მიზნით, სამინისტროსათვის გადმოცემული 1,455.00 ლარის აქტივები, ნაცვლად ბალანსის საცნობარო მუხლში - „(11) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“, აღრიცხვისა, არასწორად იქნა აღრიცხული ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში - „(10) ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება არასწორადაა გაზრდილი 998.91 ლარით. ამავდროულად, საკუთარი კაპიტალის მოხმარება ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, №3-სა და №5-ში გაზრდილია და საანგარიშო წლის წმინდა ღირებულება ბალანსის ფორმა №3-ში არასწორადაა შემცირებული 706.82 ლარით, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლის - „განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“, საბოლოო ნაშთი არასწორადაა შემცირებული 3,160.73 ლარით⁷.

ამრიგად, საფინანსო სამმართველოს მიერ არაკვალიფიციურად განხორციელებული ბუღალტრული გატარებების გამო, „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია არასწორად და არაზუსტად, რის შედეგადაც პოტენციურ მომხმარებლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ უტყუარი და სწორი ინფორმაცია.

რეკომენდაცია №1

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო ბუღალტრული გატარებების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს ძირითადი აქტივების ბალანსის დანართ ფორმა №1-სა და ბალანსის დანართ ფორმა №1-ის ბალანსგარეშე საცნობარო მუხლებში სწორად (სისრულისა და სიზუსტის დაცვით) ასახვა. კერძოდ: ა) უნდა განხორციელდეს არასწორად კაპიტალიზებული თანხის - 4,663.36 ლარის სახანძრო სიგნალიზაციის ცალკე აქტივად ასახვა ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ და ცვეთის დარიცხვა განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) 1,800.00 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების (საწყისი ისტორიული ღირებულება - 12,000.00 ლარი) მქონე ხაზინის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მოხდეს აქტივების ღირებულების შემცირება და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გატარდეს ადეკვატური ღონისძიება; გ) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი 998.91 ლარის ნარჩენი ღირებულების (საწყისი ისტორიული ღირებულება - 7,938.85 ლარი) მქონე მოძრავი ქონება აღირიცხოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ის საცნობარო მუხლში - „(11) განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“.

⁷ (1,705.73+1,455.00)= 3,160.73.

1.2 მატერიალური მარაგები

გამოვლენილი გარემოებები

ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(1627) სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“, წლის ბოლოს ნაშთი არ ფიქსირდება. აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ აუდირებულ წელს სამინისტრომ შეისყიდა 28,427.11 ლარის მატერიალური მარაგები, ხოლო წლის განმავლობაში ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების გასვლასთან დაკავშირებით, ჩამოწერის საბუთები წარმოდგენილია მხოლოდ 19,999.40 ლარის აქტივებზე. აგრეთვე გამოვლინდა⁸ ისეთი მატერიალური მარაგები, რომლებიც ბალანსის შესაბამის მუხლზე წლის ბოლოს უნდა აღრიცხულიყო ნაშთის სახით. პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, წლის ბოლოს მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 227.56 ლარს, რომელიც არ ასახულა ბალანსის შესაბამის მუხლში⁹.

მოქმედი კანონმდებლობით¹⁰, არაფინანსური აქტივების მიღება და გასვლა უნდა ფორმდებოდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტებით, ხოლო ბუღალტერია პასუხისმგებელია დროულად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღრიცხოს აღნიშნული შემოსვლა და გასვლა კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში.

თუმცა კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, საფინანსო სამმართველოს არაკვალიფიციური მოქმედების გამო, ფაქტობრივად არ ხორციელდება მატერიალური მარაგების გასვლაზე კონტროლი და გასავლის საბუთების წარმოება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერც სხვა ალტერნატიული საშუალებით იქნა მოპოვებული რწმუნება 2018 წლის იანვარში გასული მატერიალური მარაგების შესახებ, რის გამოც ვერ დასტურდება ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში ანგარიშზე - „(1.2) სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“, წლის ბოლოს არსებული ნაშთის სიზუსტე.

რეკომენდაცია №2

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდეს მატერიალური მარაგების აღრიცხვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით (აღრიცხოს მარაგების შემოსვლა და გასვლა კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში დროულად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) და დაზუსტებული (დადგენილი) ნაშთები სრულად აისახოს ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართ ფორმა №1-სა და ფორმა №5-ში.

⁸ ადგილზე დათვალიერების აქტი.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-18 მუხლის მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტები.

1.3 ავტომანქანების ექსპლუატაციის ხარჯები

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს სამინისტრომ შეიძინა 1,391.20 ლარის ღირებულების 10 ერთეული ავტომანქანის საბურავი. აღნიშნული შესყიდვების პირველადი დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა, რომ არცერთ საბურავში არ იყო დასახელებული, კონკრეტულად რომელი ავტომანქანისათვის იყო გათვალისწინებული თითოეული საბურავის შეძენა/მონტაჟი. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება იმის თაობაზე, 1,391.20 ლარის ოდენობით გაწეული ხარჯი მიეკუთვნებოდა თუ არა სამინისტროს საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მოვლა-შენახვის ხარჯებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული კიდეც ერთხელ აღსატურებს იმ ფაქტს, რომ სამინისტროში მატერიალური მარაგების აღრიცხვის პროცესი არასრულყოფილადაა წარმოდგენილი და შეუძლებელია გასული (გაზარჯული) მარაგების შესახებ რწმუნების მოპოვება, რაც ნათლად მიუთითებს საფინანსო სამმართველოს მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაზე.

რეკომენდაცია №3

გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (ხელშეკრულებებში, შესაბამის მიღება-ჩაბარებებში) არაა ასახული სათანადო ინფორმაცია საბურავების კონკრეტულ ავტომანქანებზე გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მატერიალური მარაგების გამოყენების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენაზე, რაც უზრუნველყოფს გამოყენებული მარაგების ზუსტად იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

1.4 შენობა-ნაგებობების გამოყენება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ უძრავ ქონებაზე, გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში განთავსებული №1 შენობის მე-3 სართულზე არსებული 375.63 კვ.მ ფართი, ჩატარებული აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, რომელშიც მხოლოდ ერთი იურიდიული პირი მონაწილეობდა ფაქტობრივად უკონკურენტო გარემოში (კონკურენციის გარეშე) გაიმარჯვა შპს „კალამ“. აღნიშნული ფართი სარგებლობის ფორმით (იჯარით) 2016 წლის 07 მარტიდან გადაეცა შპს „კალას“. აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ დასახელებულ შპს-ს აუდირებული წელს 7 თვის იჯარის ქირა - 1,610.00 ლარის ოდენობით, გადახდილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში. სამინისტრომ აღნიშნული საიჯარო თანხების ამოღებისა და ბიუჯეტში

მიმართვის მიზნით არ გაატარა დროული ღონისძიებები, ასევე არ დაარიცხა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს თანხა - 756.70 ლარის ოდენობით და არც მისი გადახდის მონიტორინგი განუხორციელებია. აღნიშნული ქმედება აშკარად მიუთითებს სამინისტროს მხრიდან არსებულ უკონტროლობაზე. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №7-ში, აგრეთვე №9-ში არ არის აღრიცხული შპს „კალას“ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 1,610.00 ლარის ოდენობით - ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შპს „კალასადმი“ დაკისრებული პირგასამტეხლო 756.70 ლარის ოდენობით - ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში, აგრეთვე დანართ ფორმა №8-სა და №10-ში არ არის აღრიცხული 2,366.70¹¹ ლარის „ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით“.

სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანების აღურიცხაობა ნათლად მიუთითებს აქტივის მოსარგებლის (ამ შემთხვევაში - სამინისტროს) მხრიდან ბიუჯეტში თანხების მიმართვის უკონტროლობასა და სახელმწიფო ქონების არაეფექტიანად გამოყენებაზე.

რეკომენდაცია №4

დაუყოვნებლივ განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები სამინისტროს მიერ შპს „კალაზე“ იჯარით გადაცემული ქონებისათვის 7 თვის გადაუხდელი იჯარის ქირის დავალიანებული თანხების 1,610.00 ლარის (როგორც დებიტორული დავალიანების) ანგარიშზე - „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ აღსარიცხვად. ამავდროულად, მოხდეს შპს „კალაზე“ პირგასამტეხლოს - 756.70 ლარის დაკისრება და ანგარიშზე - „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ ასახვა, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში, აგრეთვე დანართ ფორმა №8-სა და №10-ში აღირიცხოს „ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით“ 2,366.70 ლარის ოდენობით.

¹¹ (1,610.00+756.70)=2,366.70

2. სხვა გარემოებები

2.1 არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს საკუთრებაში რიცხული არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის წარმოების შესწავლისას დაფიქსირდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- 1) მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნისა¹², იმის შესახებ, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი უნდა აწარმოებდეს ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და ფასეულობების საინვენტარო სიებს, კანონმდებლობით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად, სამინისტროს აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, აუდიტის განმავლობაში არ გააჩნდა საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშსწორებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოსგან დამოუკიდებლად, მატერიალური აქტივების საინვენტარო სიები. საფინანსო სამმართველოს მიერ ფაქტობრივად არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის გამო, არ წარმოებდა მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა ბარათებზე, მატერიალური მარაგების თითოეული ჯგუფის მიხედვით¹³. აქტივების სრულ ჩამონათვალზე (გარდა მარაგებისა) იწარმოებოდა მხოლოდ ელექტრონული საინვენტარო ბარათები, შესაბამისად, აქტივის მიმღები თანამშრომლის მიერ აქტივზე მატერიალური პასუხისმგებლობა არ დასტურდებოდა მისი ხელმოწერით, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა¹⁴.
- 2) ყველა სახის აქტივების შესყიდვით მიღებას ახორციელებდა და მიღება – ჩაბარებაზე ხელს აწერდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ან საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშსწორებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ხოლო სხვადასხვა სტრუქტურებიდან აქტივების გადმოცემის დროს - ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების შემოსვლისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე „ძირითადი აქტივების საინვენტარიზაციო უწყისი - ფორმა №ა-4, არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) საინვენტარიზაციო უწყისი - ფორმა №ინგ-4.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

თანახმად¹⁵, არ ხდებოდა მომწოდებლის საბუთზე/მიღება-ჩაბარების აქტზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ არაფინანსური აქტივის მიღების დადასტურება ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული ქმედებებით, ფაქტობრივად იგნორირებული იყო „მატერიალურად პასუხისმგებელი პირის“ - როგორც ასეთის, არსი, ფუნქციები და მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა.

-) მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ხარჯებში ჩამოწერის დროს არ იყო შექმნილი გასავლის ზედდებული, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით¹⁶.

ამრიგად, წარმოდგენილი ფაქტები ნათლად მიუთითებს არაფინანსური აქტივების ანალიზურ აღრიცხვაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების იგნორირებასა და საფინანსო სამმართველოს მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობაზე.

რეკომენდაცია №5

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელდეს არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მოწესრიგება. მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ხარჯვის (გასვლის) დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული გასავლის ზედდებულების შედგენა-წარმოებას, ხოლო არაფინანსური აქტივების მიღება მოხდეს მომწოდებლის საბუთზე/მიღება-ჩაბარების აქტზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ არაფინანსური აქტივის მიღების დამადასტურებელი ხელმოწერით.

2.2 უძრავი ქონების მართვა

გამოვლენილი გარემოებები

-) სამინისტროსთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ, დაბა წყნეთში არსებულ შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 599 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე 2017 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ¹⁷, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁷ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №302 დადგენილების „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

სამინისტროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემული 3 ერთეული უძრავი ქონება მინისტრის ბრძანებების საფუძველზე მოვლა-შენახვის უფლებით გადაცემული აქვს სამინისტროს 100%-იანი წილით დაფუძნებულ შპს-ებზე, კერძოდ:

1. ქალაქ თბილისში, მეველის ქუჩა №21-ში მდებარე მიწა შენობა-ნაგებობებით - შპს „ავტოტრანსსერვისზე“¹⁸.
2. ქალაქ თბილისში, ჩიტაის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 269.6 კვ.მ ფართი - შპს საოჯახო მედიცინის ცენტრ „აფხაზეთზე“¹⁹.
3. ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩა №17-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №01 - შპს „აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკაზე“²⁰.
4. 2017 წლის 17 მარტს ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით²¹, სამინისტროს 100%-იანი წილით დაფუძნებულ შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკას“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასცა ქალაქ ხობში, სტალინის ქუჩა №6-ში ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე განთავსებული 100 კვადრატული მეტრი ფართი. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების მიუხედავად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის ასევე გაფორმდა ხელშეკრულება²² სამინისტროსათვის, როგორც „უზუფრუქტუალისათვის“, აღნიშნული ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, დასახელებული შპს-ისათვის შემდგომი გადაცემის პირობით. ხოლო სამინისტრომ, თავის მხრივ, აღნიშნული ფართი შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკას“ მინისტრის ბრძანების²³ საფუძველზე გადასცა მოვლა-შენახვის უფლებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროზე სარგებლობის უფლებით გადმოცემული სახელმწიფო ქონება ზემოაღნიშნულ შპს-ებზე სამინისტროს მიერ გადაცემულ იქნა მოვლა-შენახვის უფლებით, ბრძანებების შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული გადაცემა, ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების მხოლოდ მოვლა-შენახვას, შპს-ები კი სახელმწიფო ქონებას იყენებდნენ ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობისათვის.

მოქმედი კანონმდებლობის²⁴ შესაბამისად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი

ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 მუხლი.

¹⁸ მინისტრის 2012 წლის 16 მარტის №01/44 ბრძანება.

¹⁹ მინისტრის 2015 წლის 07 მაისის №03/95 ბრძანება.

²⁰ მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის №03/270 ბრძანება.

²¹ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 მარტის №01-234-05 ბრძანება.

²² 2017 წლის 17 მარტის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება №2.

²³ მინისტრის 2017 წლის 21 სექტემბრის №001/45 ბრძანება.

²⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³ პუნქტი.

მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შპს-ები არ ახდენდნენ საბაზრო ღირებულების მიხედვით სარგებლობაში გადაცემის საფასურის ბიუჯეტში გადახდას.

სას-ის მიერ არაერთგზის გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად იმის თაობაზე, რომ სამინისტროს მის სარგებლობაში არსებული ფართები გამოეყენებინა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკითხი კვლავ მოუგვარებელია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შპს-ებისათვის უძრავი ქონების მოვლა-შენახვის უფლებით გადაცემა არ შეესაბამება სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის კანონმდებლობით დადგენილ წესს²⁵.

სამინისტროს 2017 წლის ბოლოს ბალანსის დანართ ფორმა №5-ში მუხლზე „არაწარმოებული აქტივები“ ერიცხებოდა 2014 წლის მაისში სარგებლობაში გადმოცემული მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები სოფელ რუხში - 321,76 ჰა (ს/კ №43.10.06.036) და სოფელ რიყეში - 95,1 ჰა (ს/კ №43.09.03.240). აღნიშნული მიწების გადმოცემის მოთხოვნის არგუმენტად²⁶ მოყვანილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შემუშავებული სხვადასხვა ბიზნესპროექტი (რაც მოწონებულ იქნა გამყოფი ხაზის მდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ). სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს 226,76 ჰა ფართობზე (105 ჰა ფართობზე შპს „ენგური 2015-ზე“ გაცემულია შესაბამისი ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მხოლოდ წინასწარი საპროექტო სამუშაოები) ფაქტობრივად არცერთი ბიზნესპროექტი არ განხორციელებულა. შესაბამისად, იმის გამო, რომ წლების განმავლობაში სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწები ფაქტობრივად დაუტვირთავი იყო და არ მომხდარა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, სახელმწიფო ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები) არაეფექტიანად გამოიყენებოდა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით²⁷, სამინისტროს 2017 წელს სარგებლობაში გადმოეცა გარდაბნის რაიონში, სოფელ ვაზიანში სამხედრო ქალაქ №1-ში

²⁵ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №302 დადგენილების მე-4 მუხლი.

²⁶ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის №71 წერილი.

²⁷ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 28 აპრილის №MOD71700000023 ბრძანება.

მდებარე 513 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნული ფართის მოთხოვნის მიზანი იყო²⁸ ამ ფართზე პოტენციური ინვესტორის მიერ მრავალპროფილური ობიექტის გახსნა, სადაც უნდა დასაქმებულიყვნენ სამხედრო ტერიტორიაზე მცხოვრები იგპ-ები. თუმცა აღნიშნულ ფართზე 2017 წელს არანაირი პროექტი არ განხორციელებულა, არ გამოუყენებიათ იგი დანიშნულებისამებრ და შესაბამისად, სახელმწიფო ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) არაეფექტიანად იქნა გამოყენებული.

რეკომენდაცია №6

დაუყოვნებლად განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, უნდა აღიკვეთოს სახელმწიფო ქონების კანონშესაბამოდ სარგებლობის ფაქტები და ბიუჯეტში აღნიშნული ქონების სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევები. ამავდროულად მიწის ნაკვეთების გამოყენება განხორციელდეს მიზნობრივად და ეფექტიანად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი თავდაპირველად გადმოცემის მთავარი მიზანი და არგუმენტი - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

2.3 არამატერიალური ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართ ფორმა №5-ში ანგარიშზე - „(2.3.2) არამატერიალური ძირითადი აქტივები“, ირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, რომლის ნარჩენი ღირებულება აუდირებული წლის ცვეთის 708.00 ლარის გათვალისწინებით, შეადგენდა 4,248.00 ლარს. აღნიშნული არამატერიალური აქტივი, ისევე როგორც წინა წლებში, საანგარიშგებო წლის განმავლობაშიც სამინისტროს მიერ არ გამოყენებულა. პროგრამა სამინისტრომ შეიძინა 2010 წელს - 2,360.00 ლარად, ხოლოს 2014 წელს განხორციელდა მისი განახლება - 4,720.00 ლარის ღირებულებით, რის შემდეგაც პროგრამის საწყისი ისტორიული ღირებულება განისაზღვრა - 7,080.00 ლარით. მიუხედავად პროგრამის შესყიდვაზე და შემდგომ მის განახლებაზე გაწეული ხარჯებისა, საფინანსო სამმართველოს არაკვალიფიციური მოქმედების გამო, მისი გამოყენება დღემდე არ მომხდარა. აღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად და არამიზნობრივად გაიხარჯა.

რეკომენდაცია №7

დაუყოვნებლივ განხორციელდეს სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის დანერგვაზე გახარჯული საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობას და ეფექტიანობას. დადგინდეს მიზეზი, რის გამო არ ხდებოდა წლების

²⁸ აფხაზეთის ა/რ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 30 იანვრის №01/245 წერილი.

განმავლობაში ძვირადღირებული საბუღალტრო პროგრამის დანერგვა-გამოყენება, რაც შესაბამისად, არასახარბიელო გავლენას ახდენდა აღრიცხვა-ანგარიშგების ხარისხსა და ეფექტიანობაზე.

2.4 რეინვესტირებული თანხები

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს მინისტრის ბრძანების²⁹ შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ შექმნილი საწარმოების, რომლის 100%-იან წილსაც მართავს სამინისტრო, 2016 წლის მოგებიდან განხორციელდა თანხების რეინვესტირება 93,196.00 ლარის ოდენობით. ვინაიდან თანხების რეინვესტირებაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2017 წლის 19 მაისს, რეინვესტირებული თანხების ნეტო (დაბეგვრის შემდეგ) თანხამ შეადგინა 79,216.00 ლარი:

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, სამინისტროს საწარმოთა მართვის სამსახურმა შპს-ების მიერ რეინვესტირებული თანხებით განხორციელებული შესყიდვების დამადასტურებელი წერილები და უმეტეს შემთხვევაში, შესყიდვების ანგარიშგაქტურები, წარმოადგინა მხოლოდ 53,761.00 ლარზე, 79,216.00 ლარის 68%-ზე. სამინისტროს მხრიდან რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებით არ ხორციელდება აქტიური ანალიზი და მონიტორინგი, ვინაიდან რიგ შემთხვევებში დაფარულია ისეთი ხარჯები (საბრუნავი კაპიტალი, სარემონტო სამუშაოები, საოფისე ინვენტარი), რომელიც აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, შეიძლებოდა შესყიდულიყო 2017 წლის საოპერაციო ხარჯის ფარგლებშიც და არ საჭიროებდა დამატებითი სახსრების რეინვესტირებას. აღნიშნულით კი შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად და მიზნობრივად გახარჯვა. ასევე მონიტორინგის ნაკლოვანებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ რეინვესტირებული თანხების განკარგვის დამადასტურებელი საბუთები 2017 წელს სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გამოთხოვნილ იქნა მხოლოდ სამი შპს-ისგან, ხოლო დანარჩენი ერთეულებისგან ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შემდეგ.

რეკომენდაცია №8

განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი და დაწესდეს მკაცრი კონტროლი სამინისტროს 100%-ნი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მიერ რეინვესტირებისათვის თანხების გამოყოფის აუცილებლობაზე. ჩატარდეს სრულფასოვანი ანალიზი რეინვესტირებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება-ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად და მიზნობრივად გახარჯვას.

²⁹ მინისტრის 2017 წლის 19 მაისი №01/33 ბრძანება.

2.5 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროში აუდირებულ პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 6 პირი, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად³⁰, დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად 11-12 თვის ვადით და მათზე სულ გაიცა 45,042.00 ლარის ანაზღაურება (მათ შორის, პრემია - 2,750.00 ლარი). მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, ექვსივე თანამშრომელი სამინისტროში დასაქმებული იყო და ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს) 2016 წელსაც, მათ შორის, 5 მოსამსახურე - 10-12 თვით, ხოლო ერთი მოსამსახურე - ერთი თვით. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ შტატგარეშე (ხელშეკრულებით დაქირავებულ) თანამშრომლების მიერ შესასრულებული ფუნქცია - მოვალეობები იყო არა დროებითი, არამედ მუდმივი ხასიათისა.

რეკომენდაცია №9

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, სამინისტროს საჭიროებიდან გამომდინარე, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, არგუმენტირებული დასაბუთებების საფუძველზე და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

2.6 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

გამოვლენილი გარემოებები

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად³¹, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2017 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი, ხოლო 2017 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით, უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ისა; თუმცა იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, სამინისტროს მიერ 2017 წელს შრომის ანაზღაურება ჯამში გაზრდილი იყო 2%-ით, ხოლო საწვავის ხარჯები შემცირდა მხოლოდ 23%-ით. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სამინისტრომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები არ გაითვალისწინა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სამინისტროს მხრიდან მოქმედი ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების მოთხოვნებისადმი არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე.

³⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი.

³¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულების „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი და დანართის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები.

რეკომენდაცია №10

სამინისტრომ უზრუნველყოს საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის შექმნა და განახორციელოს მოქმედი ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE